

სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 12

ქ.თბილისი

20 მაისი 2014 წელი

საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მ.თავზარაშვილმა, კომისიის წევრების: ე. ნაჭყებიას ვ. სამხარაძის, ი.ჩიქავას და მონაწილეობით მ/წლის 20 მაისს შევადგინეთ ოქმი შემდეგზე:

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მეთვალყურის დ. ცხვედიანის ოქმი.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

ამა წლის 2 მაისს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩი ასპინძის „ლომები“-სა და ლანჩხუთის „გურიას“ შორის. მატჩის მეთვალყურის დ. ფულარიას ოქმის, მოხსენებითი ბარათის და სრკ საშეჯიბრო კომიტეტის მენეჯერის მ. კოროშინაძის წერილის მიხედვით გამოირკვა: კლუბ ლანჩხუთის „გურია“-ს შემადგენლობაში ითამაშა თემურ ჩახვაძემ, რომელიც განაცხადში შეყვანილი იყო საბა დოლიძის სახელით. ამავე დროს მატჩის მეთვალყურის მოხსენებითი ბარათისა და მოწოდებული ინფორმაციით გამოირკვა, რომ თემურ ჩახვაძე არის 1996 წელს დაბადებული. მას არ ჰქონდა უფლება ეთამაშა აღნიშნულ მატჩში, რადგან იგი არის გადაზრდილი. სრკ სადისციპლინო კომისიამ, კლუბ ლანჩხუთის „გურია“-ს მწვრთნელს ა. წილოსანს მოსთხოვა თემურ ჩახვაძის წლოვანების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი, რაც არ იქნა წარმოდგენილი.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 1.13 პუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კლუბ ლანჩხუთის „გურია“-ს მწვრთნელი ა. წილოსანი დისკვალიფიცირებულ იქნას 2 (ორი) წლის ვადით, კლუბი დაჯარიმდეს 3000 (სამი ათასი) ლარით და გუნდს ჩაეთვალოს წაგება.
2. სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის (შენიშვნა) თანახმად, სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.12 პუნქტი ამოქმედდება იმ შემთხვევაში თუ სადისციპლინო კომისიის მიერ გამოტანილი ფინანსური სანქცია (რომელიც გათვალისწინებულია სადისციპლინო კოდექსით) კლუბის მიერ არ იქნება დაფარული მომდევნო ტურის მატჩამდე მაგრამ არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა.

/ე. ნაჭყებია /

/ ი.ჩიქავა/

/ვ. სამხარაძე/

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი/

